საუმაწვილო ჟურნალი

წელიწადი მეოთხე

მცირე წლოვანთათვის

№ VII

აპრილი

საქართველოს სახელმწიფო
თბილისი
ეროვნული ბიბლიოთეკა

1906

ტფილისი

ელექტროშბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის ქუჩა, № 65

1906

აპრილი „ნაკადული“ № VII 1906 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ი ნ ა ა რ ს ი:

1. **გაზაფხული.**—ლექსი შ. მდვიმელისა 3
2. **ობობას თავგადასავალი.**—თხ. ვაგნერისა, თარგმ. ალ. მჭედლიშვილისა 5
3. **მამა-შვილნი.**—ხალხური ზღაპარი, დასასრული, ანმანისა. 9
4. **სპილო.**—რუსულიდგან, თარგმ. ნ. თ.-სა. . . . 15
5. **მაიმუნები.**—გაგრძელება, ირაკლი სურგულაძისა . . 16
6. **ჰერკულესის ამბავი.**— ვ. ლორთქიფანიძისა . . . 20
7. **გასართობი.** 23
8. **მკითხველის წერილები.** 24

ამ წლის პირველ იანვრიდგან „ნაკადული“ გამოდის ახალის რედაქციით.

რ ე დ ა ქ ც ი ი ს ა გ ა ნ:

უმორჩილესადა ვსთხოვთ გარეშე თანამშრომლებს, დაწერილებით აღნიშნონ ხოლმე ნათარგმნსა და გადმოკეთებულს მასალაზედ, საიდგან არის აღებული; აღნიშნონ ხოლმე აგრეთვე ავტორი და წიგნი ან ჟურნალი, რომელშიაც დაბეჭდილი იყო. თუ ჟურნალიდან არის გადმოღებული, მაშინ—წელიწადი და № გამოცემისა. ვთხოვთ ამას თანავე თავიანთი ნამდვილი ადრესიც მიაწერონ ხოლმე, რომ საჭიროების დროს რედაქციას დაკითხვა შეეძლოს.

ხ ე ლ ი ს მ ო წ ე რ ა შ ე ი ძ ლ ე ბ ა:

რედაქციაში და „წერა-კითხ. გამ. საზოგადოების“ კანცელარიაში. ქალაქს გარედ ჩვენს აგენტებთან **ბაქოში:** ანეტა ჟვანიასთან და ნ. დეკანოზიშვილთან; **ძუთაისში:** „კოლხიდის“ საზოგადოებაში, კნ. ბარბარე წერეთლისას და ანნა დადეშქელიანთან; **ბათუმში:** მარიამ ელიავასთან, და კნ. სოფიო ნაკაშიძესთან; **სუხუმში** კნ. ტერეზია შერვაშიძესთან და ნიკო თავდგირიძესთან; **ახალციხეში:** გრიგოლ ქიქოძესთან; **თელავში:** ქეთო ზარაფიშვილთან; **გორში:** თამარ ⁄ ნინო ლომაურებთან ⁄ კნ. ელენე ერისთავისას: **ფოთში:** კნ. ვლადიმერ სვიმონის ძე აბაშიძესთან; **ჭიათურაში:** ირაკლი დეკანოზიშვილთან; **საჩხერეში:** ყარამან ჩხეიძესთან; **ერევანში:** მარიამ ფავლენიშვილთან.

„ნაკადულის“ შარშანდელი მთელის წლის ნომრები იყიდება **3** მანეთად



ეროვნული
ბიბლიოთეკა

გაზაფხული

აზაფხულდა, გაზაფხულდა!
მთა ამწკანდა მშვენიერად
და ბარშიაც გადიფურჩქნენ
ყვავილები მრავალფერად.

აგერ ჭყვავის ტურფა ია,
გულ-მართალი და გულ-ღია,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზამთრის სუსხი უკუღმართი
სიკეკლუცით რომ დასძლია.
მართალია, სუსტი არის,
მაგრამ აქვს დიდი გული:
წინ-წინ მოსულ შიკრიკ ყვავილს
თან მოჰყვება გაზაფხული.
გაზაფხული დიდებული,
მორთული და მოკაზმული,
გულ-ამაყი, გულ-ზვიადი,
ყვავილებით დარაზმული.
ვის არ უყვარს, ნეტა, ეს დრო,
ვინ არ შესტრფის გაზაფხულსა?
მთის და ბარის სულის ჩამდგმელს,
ემაწვილების სისარულსა?!

შ. მღვიმელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ობობას თავგადასავალი.

თხ. ვაგნერისა.

ამ სართულიან სახლში დიდი, სქელი ობობა სცხოვრობდა. თავისი თავი დიდი ბატონი ეგონა, აქაო-და ზურგზედ თეთრი ჯვარედინი ზოლი მაქვს და ჩინებული ქსელის გაბმა ვიცი. ბუზების ჭერაში და იმათ გამოწუწვნაში ხომ ვერავინ შეეჯიბრებაო. ერთხელ ობობამ მოინდომა სალხისათვისაც ეჩვენებინა თავისი თეთრი ჯვარი და ოსტატობა დაეკვეხნა. შეცოცდა ოთახში. დიდს დარბაზში, თითქოს განგებ, შეერილიყო მრავალი საზოგადოება და შემოჯსხდომოდნენ მაგიდას. მაგიდის ჰირდაპირ ჭერში ლამპარი ეკიდა. დაჯდა ლამპარს ობობა და ფიქრობს: „სწორედ საჩემო ადგილია! აბა რომელს სტუმარს აქვს ჩემისთანა სამკაული? ალმასივით მიბჭეკრიალებს ძვირფასი ჯვარი მთელ ტანის სიგრძეზედ. როგორ გაუკვირდებათ სტუმრებს, როცა დამინახავენ: „რა მშვენიერი ცხოველიაო, იტუვიან სტუმრები; რა თავმდაბლა უჭირავს თავიო“.

ობობა ჩაცოცდა ლამპარზედ, ჩამოეშო ჯაჭვასავით ძაფით და დაჯდა დიდს ქადას, რომელიც შუა მაგიდაზედ იდვა. შე-

ნიშნეს თუ არა ობობა, ისეთი ალიაქოთი ასტედა, რომ შენი მოწონებული. ქალებმა ხომ წიოკობით იქაურობა აიკლეს.

— რა საზიზღარი ცხოველია! იძახდნენ სტუმრები.

— რა საძაგელი ტანი აქვს! გრძელი, ბუსუსიანი ფეხები!

ერთს სუსტ-ძარღვებიანს ქალს შიშისა და ზიზღისაგან კინალამ გული შეუწუხდა. მოსამსახურემ აიღვანა ძაფით ობობა და ფანჯრიდგან გადაისროლა. ობობა იქვე ფანჯრის ფიცარზედ დაეკიდა.

„ეტეობა, ხალხს ბუნების სილამაზისა არა ესმის-რა, ფიქრობდა ობობა, ჩავალ ბედის საძებნელად ცოტა ქვევით“; ობობა შეცოცდა მეორე სართულის ღია ფანჯრით ოთახში. თუმცა ოთახში ცოტა ბნელოდა, რადგანაც სახლის პატრონები ზევითა სართულში სტუმრად იყვნენ, მაგრამ ობობა კატაზედ ნაკლებად არა ჭხედავს ბნელაში. ობობამ პირველად შეამჩნია თითისტარი, რომელიც იქვე ფანჯარაზედ იდვა. „ეს როგორი ძაფია! რა მსხვილი და უსწორ-მასწოროა. შეუძლებელია, ამ ძაფით ქსელის გაბმა, ერთს ბუზსაც ვერ დაიჭერ. აბა, მიეურონ, დართვისა და ქსოვის მაგალითს მე ვუჩვენებ. რა გაოცდებიან, როცა ჩემს ქსელს ნახავენ! შურით თვალები წამოსცვივათ!“ სთქვა ობობამ და დაიწყო ქსელვა: ერთ წერტილიდგან, თითქოს მზის სხივებიაო, ოთველ მხარეს სჭიმავდა წმინდა ძაფებს; შემდეგ შეუდგა შუაგულ ადგილიდგან გარდიგარდმო ქსელვას: შემოავლო ერთი წრე, მეორე უფრო მოზრდილი, ასე რომ ყველა შემდეგს წრეს უფრო აგანიერებდა. გაათავა ობობამ მუშაობა, მოიკეცა ქსელის შუა ადგილას და დაუწყო ლოდინი გათენებას და ხალხის მოსვლას.

გაიღო კარი და ოთახში შემოვიდა დიასახლისი თავის შვილებით. ამათ მაშინვე შენიშნეს ობობას ქსელი.

— რა ლამაზი ქსელია! გაოცდნენ ბავშვები. რა წმინდა მაფებია, მერე როგორ ბრწყინავენ მზეზედ, თითქოს ცისარტყელაა!

,,აი, ეს მესმის,—გაიფიქრა ობობამ.—სრულს ჭეშმარიტებას ამბობენ ბავშვები. ძლივს არ შეიგნეს ჩემი ღირსებანი!''

— მართალია ლამაზი და კოსტა ქსელია, შენიშნა დედამ, მაგრამ საჰერანგეთოკი გამოუსადეგარია. გადაუსვით ცოცხი და გადააგდეთ.

ბავშვებმა შიგ შუაგულ ქსელში წასტაკეს ცოცხი. ობობამ დროზედ შენიშნა საფრთხე და იკადრა გაქცევა. ახლა ძირის სართულისკენ გასწია. ,,შური საძაგელი ნაკლია!—ფიქრობდა ობობა.—აბა ვინ მოიფიქრებდა, რომ დართვისა და ქსოვის მცოდნე ქალი ამას იტეოდა!''

ძირის სართულში ბავშვების საწოლს ოთახში შეეიდა. ,,აი, აქ მოვიკალათებ! გარდასწყვიტა ობობამ, ბავშვები წელან აღტაცებულები იყვნენ ჩემის ნამუშავარით. ჩემის ოსტატურ ბუზების დაჭერით სიხარულით ცას მოეწვიან და ქებასაც დამიწყებენ''. თუმცა ფანჯრებს მარმაში ჰქონდა აკრული, მაგრამ ოთახში მაინც ბუზი ბლომად ირეოდა და თავის ბზუილით ბავშვებს არ აძინებდა. საწყალს ბავშვებს სან ცხვირზედ დაჯდებოდნენ და დაუწყებდნენ ღიტინს, სან კიდევ სელებზედ აცოცდებოდნენ.

ობობამ გააბა თავისი ქსელი და, ვიდრე ბუზები შენიშნავდნენ მახეს, ერთი მათგანი გააბა კიდეც. ბუზმა ისე საცოდავად დაიწყო ბზუილი, რომ ახლოს მძინარე ბავშვი გამოაღვიძა. ბავშვმა, გააჭეიტა თვალები თუ არა, დაინახა ლოგინს ახლოს, რომ ვეება ობობას დაუჭერია ბუზი და გემრიელად სწუწნის. ბავშვის ძახილზედ შემოვიდა მამა.

— დიდი ოსტატი რამ არის ბუზების ჭერაში,—სთქვა მამამ და თან ბავშვს ამშვიდებდა,—მაგრამ უმსგავსი ცხოველი-

კია. რვა თვალი აქვს ამ სამაგელს და არც ერთს მათგანს-კი მეგობრული ნიშან-წყალი არა აქვს. ამის ვეება შხამიანი ხიარი მუსრს ავლებს ბუზებსა და კოღოებს. ობობას გრძელი ბრჭყალიანი ფეხები დათვის თათს ან ვეფხვის კლანჭს მოგაგონებს. თუმცა თქვენთვის სასიამოვნო არ არის, როცა ბუზები ან კოღოები გკბენენ, მაგრამ ობობამ რომ თქვენს ხირის სახეზედ ცოცვა დაიწყოს, მე მგონი ეს უფრო უსიამოვნო იქნება. დეე, ან განჯინის კუთხეში ან სადმე საკუჭნაოში გაბას ქსელი და, რამდენიცა ჭნებავს, იქ იჭიროს ბუზები, აქ-კი ამის ადგილი არ არის.“ მამამ მოგლიჯა ქსელი და ობობა ეზოში გადაუძახა.

იქვე ფანჯარასთან მამალი იდგა. ძალიან გაუხარდა ამისთანა გემრიელი ლუკმის დანახვა და დიდის სიამოვნებით გადაყლაპა.

ალ. მჭედლიშვილი.

მამა-შვილნი.

ხალხური ზღაპარი.

(დასასრული)

ამოვიდა ეს გამდიდრებული კაცი და დაიწყო ფიქრი: „სახლ-კარი მივატოვე, ცოლ-შვილზედ სელი ავიღე, რა თავში სახლელად მინდა მარტო-სელა კაცს ეს ამოდენა სიმდიდრე; წავალ, მოვიკლი ქვეყნიერებას, მოვმებნი და, თუ ვიპოვე შვილებით ბედნიერი და კმაყოფილი მამა, ამ ჩემ სიმდიდრეს იმას მივუძღვნიო“.

იარა, იარა ამ კაცმა; ბევრი მამა ნახა, ბევრს გამოჰკითხა შვილების გარემოება; მაგრამ ეველა თითო რასმეს უჩიოდა. ერთმა უთხრა: „სამი ვაჟიდამ ერთი ავაზაკი გამომივიდა, მეორე ლოთი, მესამე ნაცარქექიაო“. მეორემ უამბო: „უფროსი შვილი ომში მომიკლეს, უმცროსმა ჩხუბის დროს შუათანა მოკლაო“ და ამ რიგად მთელს სახელმწიფოში ვერ შეჰხვდა ისეთი მშობელი, რომელიც შვილების მსრივ სრული ბედნიერი და გულ-დადინჯებული ყოფილიყო.

მიატოვა ამ კაცმა ეს სასელმწიფო და ახლა სხვა სასელ-მწიფოში გადავიდა. ეძია, ეძია აქაც და მაინც შვილებით ბედ-ნიერი მშობელი ვერ იპოვა. ბოლოს, როცა იმედი გადაუწყდა, ერთი კაცი შეჰხვდა, რომელსაც თავისი დარდი განუზიარა. ამ კაცმა უთხრა:

— მაგისთანა მშობლებს მე გიჩვენებ, მხოლოდ იმ პი-რობით-კი, რომ თუ შენი სიმდიდრე იმათთვის საჭირო არ იყოს, სულ მე დამითმო, რაც გადადებული გაქვს საჩუქრადაო.

— კარგიო,—მიუგო იმან—და მტკიცე პირობა ჩამოართ-ვეს ერთმანეთს, რომ სიტყვა არ გაეტეხათ.

ატარა ამ ახლად გაცნობილმა კაცმა ეს მგზავრი, ატარა და მიიყვანა ერთს მაღალს ათ-სართულიან კოშკთან, რომელსაც დიდძალი ტრედები ესვეოდნენ, თავს დასტრიალებდნენ. თურმე ეს კოშკი იქაური სელმწიფის სამტრედე ეოფილიეო. სამტრე-დეს ყველა მხრიდგან აივნები და სანათურები ჰქონდა. სანათუ-რებიდგან აუარებელი ქანდარები და ბუდეები მოსჩანდა. ქანდა-რებზედ და ბუდეებში წვილ-წვილად დედალ-მამალი ტრედები ისხდნენ, თავიანთ ბარტყებს აჭმევდნენ, უალერსებდნენ, ტკბი-ლად დაჰღუღუნებდნენ.

— აბა შეჰხედე,—უთხრა ნაცნობმა მგზავრს,—რამდენი ბედ-ნიერი მშობლები ჩამწკრივებულან ამ ბუდე-ქანდარებზედ! ვინ იტყვის, რომ ეს მოღუღუნე ტრედები არა სტკბებიან და სრუ-ლი კმაყოფილნი არ არიან თავიანთ ბარტყების ცქერითა და ალერსით?

— მართალი სარ,—მიუგო მგზავრმა,—მშობლის მთელი გული ვისაც უნდა, ტრედებში უნდა მოძებნოსო.

რაკი ბედნიერი მშობლები ტრედებში აღმოჩნდნენ და ტრე-დებს კიდევ სიმდიდრე არ სჭირდებოდათ, ამიტომ, პირობი-სამებრ, მგზავრმა თავისი შემთხვევით შემენილი ფული და თვალ-მარგალიტი სულ ამ ნაცნობს გარდასცა. დარჩა თვითონ

ისევ ცარიელ-ტარიელი და რადგან ამ ტრედების დათმობა და მოშორება აღარ უნდოდა, კარის-კაცებს სამტრედეში მოსამსახურობა სთხოვა. მისცეს ადგილი და მცირე ჯამაგირიც დაუნიშნეს; თუმცა ისე ჯამაგირის დარდი არ ჰქონდა, როგორც იმისი სურვილი, რომ მთელი თავისი სიცოცხლე ტრედების ღულუნისათვის ეური ეგდო და მათის კეთილ-დღეობისთვის ეცქირა.

ამ დროს იმ ქვეყანაში ერთი საკვირველი ამბავი მოხდა: დაიწყო უდიერი წვიმა,—ისეთი წვიმა, რომ ბოლო არ უჩანდა; კვირა კვირას მოება, თვე თვესა და კოკისპირული თავსხმა მაინც არ წყნარდებოდა.

გაჭირდა საქმე, ხალხი აეაეანდა: ყველა მოუსავლობას და ჭირნახულის დაღუპვას ჩიოდა. შეწუხდა, რასაკვირველია, ხელმწიფეც, რომელმაც ასეთ დაუბოლოვებელ წვიმიანობის მიზეზის გაგება მოიწადინა. შეკრიბეს მთელი სახელმწიფოს მკითხავნი, მაგრამ რიგიანი აღსნა ვერავინ ვერ შესძლო. ბოლოს, მოაგონდათ დედოფლის გოშია. ამ გოშიას ერთი საკვირველი თვისება ჰქონდა: დედოფლის თხოვნაზედ ადამიანის ენას ამოიდგამდა და გულთმისნობას იწყობდა.

ხელმწიფემ მიჰმართა დედოფალს და დედოფალმა ჰკითხა გოშიას, რა იყო მიზეზი ასეთის წვიმიანობისა? გოშიამ მიუგო: „ვიდრე ხელმწიფეს თავისი მამა მოჯამაგირედ ეყოლება, არ გამოიდარებსო“.

ამისთანა პასუხმა დედოფალი მეტად გააოცა. გაჰკვირდა ყველა, ვინც ეს გაიგო. თუმცა ბევრმა გოშიას სისულელე დასწამა, მაგრამ თვით ხელმწიფე დიდს საგონებელში ჩავარდა.

მეტი ღონე არ იყო, ბრძანება გამოსცა, რომ სასახლის მოსამსახურენი ყველანი ერთად მეფის წინაშე გამოცხადებულიყვნენ. დანიშნულს ვადაზედ შეიკრიბნენ ყველანი. ხელმწიფემ ყველას სათითაოდ ვინაობისა და თავგადასავალის გამო-

კითხვა დაუწყო. მსასურნიც მოჰყვნენ და, ვინ საიდგან იყო, სად გაზრდილიყო, რა გადაჰხედოდა,—ხელმწიფეს დაწვრილებით უამბეს.

მიდგა ჯერი მეტრედეზედაც. „სამი ვაჟი მყავდა,—დაიწყო ამან,—უფროსი გამოჩენილი მონადირე და შესახედავად ჩინებული ვაჟკაცი იყო. როცა ცოლის შერთვის დრო მოუვი-

და, ერთმა მდიდარმა სოვდაგარმა ქალი შეამლა. დასთანხმდა ჩემი შვილი და ქორწილის დღეც დაენიშნეთ. საქორწილოდ ჩემმა შვილმა ირმების დასოცვა მოინდომა წავიდა სანადიროდ. მე მეორე დღეს ურმები გავუგზავნე ნანადირევის მოსატანად.

როცა მეურმეები ადგილას მისულიყვნენ, ერთი მოკლული ირემი და ჩემი შვილის სისხლიანი ტანისამოსი-ღა დაჭხვედ-როდათ. მას აქეთია გაჭქრა ჩემი შვილის კვალი!!..

— მამავ, ის შვილი მე ვარო!..—შესძახა ერთბაშად ხელ-მწიფემ,—მიჭვარდა, გადაეხვია; მაგრამ მაშინვე გული წაუვიდა და ვეღარაფერის თქმა ვეღარ მოახერხა.

განცვიფრდა ამოდენა მაცქერალი ხალხი ამ ამბის დანა-ხვაზედ; არავინ იცოდა, რას ჭნიშნავდა ასეთი შემთხვევა. გაშტე-რებული დარჩა აგრეთვე მემტრედე, რომელსაც ისე დაებნა გო-ნება, რომ ადარ ესმოდა, სიზმარში იყო, თუ ცხადლივ ჭხედავდა ყველა ამას. მიჭხვდა მხოლოდ დედოფალი, რადგან ამას წი-ნადვე ჭქონდა ხელმწიფისაგან გაგონილი თავისი თავგადასა-ვალი.

როცა ყველანი დამშვიდდნენ, მემტრედემ თავისს ახლად მოვლენილ შვილს ჭკითხა:

— შვილო, გამაგებინე, ვერ მივმხვდარვარ: დღემდის მკვ-დარი მეგულებოდი, რადგან ტყიდგან შენი გასისხლიანებული ტანისამოსი-ღა მომივიდა,—რამ გადაგარჩინა სიკვდილს, ან ხელმწიფობა როგორ მიიღეო?

ხელმწიფეც მოუყვა:

— ჩემი სიმამრი ამ ქვეყნის განთქმული ხელმწიფე ეო-ფილა და ერთი ქალის მეტი შვილი არ ჭყოლია. ეს ქალი თურმე გაგიჟებით უყვარდა და ამიტომ, რასაც-კი მოისურვებ-და და მოიწადინებდა, მამა ყველა სურვილს დაუყოვნებლივ უსრულებდა. როცა ამ ქალს გათხოვების დრო მოჭხვლია, ბევრს ხელმწიფის შვილს მოუგზავნია კაცი სათხოვნელად, მაგრამ ყველასათვის ცივი უარი შეუთვლია. მერე მამისთვის გამოუ-ცხადებია: „მე არ დავემებ ჩემის საქრმოს ხელმწიფის-შვილო-ბას,—ის უნდა იყოს მოსული ვაჟკაცი ტ ბირველი მონადირე მთელს დედამიწის ზურგზედაო“. ათას კუთხისკენ ეფრინა მა-

მას კაცები, ბევრი ეარნათ, ემებნათ—ასეთი უმაწვილი კაცი ვერ შეჰხვედროდათ. ძალიან დაღონებულიყვნენ მამა-შვილნი. ბოლოს ამ ქალის გოშიას ამოედგა ენა ტ მოესსენებინა მეფისთვის: „აფრინე ის ორი შენი მდევი ამა-და-ამ ქვეყანაში; იქ ერთს საწყალს კაცს ჰყავს სამი ვაჟი-შვილი; უფროსი ვაჟი სწორედ ისეთი შესასედავი და პირველი მონადირეა, როგორიც შენს ქალს უნდა. მდევები რომ მივლენ, ის მაშინ ტყეში იქნება სანადიროდ; სტაცონ ხელი და გამოსწიონო“. თურმე გოშია ჩემზედ ეუბნებოდა. მართლაც ნადირობის დროს ტყეში მდევებმა მომაგნეს, დამიჭირეს, ირმის სისხლში მოსვრილი ტანისამოსი გამხადეს, ჩამაცვეს სხვა ძვირფასი და ისე გამომიტანეს, რომ ვერც გზისა, ვერც ცისა და ვერც დროისა ვერაფერი გავიგე. გონს მაშინ მოველ, როცა ამ სასახლეში ამომაყოფინეს თავი. მეორე დღესვე მეფემ თავისს ქალზედ ჯვარი გადამწერა და, რადგან სიცოცხლის დროსვე ტახტის მემკვიდრეობა მე დამიმტკიცა, ამიტომ დღეს, იმის სიკვდილის შემდეგ, ხელმწიფედ მე ვარო.

ასე დაამთავრა ხელმწიფემ თავისი თავგადასავალი. მერე მსახურთ უბრძანა—მამისთვის უბრალო ტანისამოსი გაეხადნათ და ძვირფასი მოერთმიათ. იმ დღიდგან მეტრედეს მიატოვებინეს თავისი ხელობა და სასახლეში ისეთი ადგილი დააჭერინეს, როგორიც ხელმწიფის მამას შეჰშვენოდა.

ცამაც გამოიშუქა. ძალე ხელმწიფემ დედა და ძმებიც თავისთან დაიბარა და ამის შემდეგ მთელმა ოჯახმა ტკბილად და უდარდელად გაატარა თავისი წუთისოფელი.

მთას ურემი ავაშენე—
ჩამოვიდა გორებითა;
აქ სიცოცხლით გამიძღიო,
საიქიოს ცხონებითა.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

ორი ვაშლი მქონდა:
ერთი მთქმელს,
ერთი გამგონს.

ან-მანი.



სპილო.

რუსულიდგან.

ოფელში არა ერთხელ და ორჯერ გინახავთ გაზაფხულზედ და შემოდგომაზედ, როგორ ხნავენ მიწას ჰურის დასათესად. ხნავენ ცხენებით ან ხარკამეჩით.

მაგრამ სხვა ქვეყნებში, შორს ჩვენგან, გუთანში სპილოებს აბმენ. თქვენ სპილოები ცირკში ან სამხეცეში თუ გინახავთ; იქნება როდისმე თეთრი ჰური გეთავაზებინოთ მისთვის.

ჩვენგან მოშორებით არის ერთი ქვეყანა—ინდოეთი. იქ ჰურის მაგივრად ბრინჯი მოჰყავთ. ბრინჯი ჭაობიან ადგილზედ ითესება. ამ ნაირ მიწას-კი ძალიან ღრმად სჭირდება მოხვნა. ცხენს ან ხარს გაუძნელდება ამნაირი მიწის ხვნა და ამიტომ სპილოს აბმენ გუთანში.

ესაც არ აკმარეს სპილოს. როდესაც ნამეტან სიცხისაგან მიწა შრება, სპილო იღებს ჭიდგან წყალს და კათხებითა რწყავს ამოსულს, ბრინჯს.

ნ. თ.





ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიმუნები.

(გაგრძელება)

ადამიანები ბევრის ჯიშისა არიან. სულ ოთხასამდე ჯიშია. ერთმანეთში ძალიან განსხვავდებიან, როგორც აგებულობით, ისე გონებით. ზოგს კუდი აქვს, ზოგს არა, ზოგი ადამიანის სიმაღლისაა, სქელი, გაბერილი, ზოგი თრიოთინის ოდენაა, გამხდარი, ჰატარა, ზოგი ბალნითაა შემოსილი, ზოგი არა; ზოგს ორს ფეხზედ შეუძლიან დგომა, როგორც ადამიანსა და მიწაზედ სცხოვრობს. ზოგი საზოგადოდ ოთხზედ დარბის და თავისს სიცოცხლეს ხეებზედ ატარებს. ყველაზედ შესანიშნავებია კაცის მოგვარე მაიმუნები და ჰაწია მაიმუნები.

გორილას თავი

დავიწყოთ ადამიანის მზგავს მაიმუნებიდგან. ყველაზე დიდი ამ მაიმუნებში გორილაა. გორილა ყველა მაიმუნებზედ მეტადა ჰგავს ადამიანსა. სიმაღლე კაცზედ მეტი აქვს. ხელები სულ ადამიანისას მიუგავს. თავი დიდი აქვს, მაგრამ უშნო. ხელები ადამიანზედ გრძელი და ღონიერი. ტანი სქელი ბალნითა

აქვს შემოსილი. სცხოვრობს ცხელს ქვეყნებში. ტუვეობაში დიდ-ხანს ვერა სძლებს. ბევრი, ბევრი, გასძლოს ერთი, ორი წელიწადი. თავის სამშობლოში დაბურულს ტყეებში სცხოვრობს გორილასთან შეხვედრა ადამიანისთვის მეტად სახიფათოა. ხშირია ასეთი მაგალითი. მონადირეები მიდიან თავიანთთვის ტყეში. უცბად ერთი მათგანი სადღაცა ჰქრება. გორილამ, რომელიც ტოტებში იყო დამალული, დაავლო უკანა ხელები მონადირეს კისერში, აიტაცა მაღლა ხეზე და ყელში ხელები წაუჭირა. დამახებას ვერცხი ასწრობს ადამიანი, ისე ვარდება მიწაზედ უსულო. არც ერთს ადამიანს არ შეუძლიან გორილას გაუმაგრდეს. ერთის დაკვრით მთლად უნაჭუჭებს ადამიანს თავის ქალასა. არავითარი ხერხი არ ჰშველის ადამიანს. თოფის ხელ-ახლა გატენას ვერ ასწრობს. გაქცევა უსარგებლოა. თოფს ისე ამტვრევს, როგორც ჰატარა ჯოხს. ხელები გრძელი და ღონიერი აქვს, ვერც ერთი მოჭიდავე ვერ წააქცევს. ბნელი და გაუვალი ტყე, სადაც გორილა სცხოვრობს, უშლის ადამიანს სიარულს. ამიტომ მონადირე შორიახლოს უნდა დადგეს და უცადოს გორილას მიახლოვებას. გორილა მიდის ჰატარა ნაბიჯით, ხშირად ჩერდება, საშინლად ღრიალებს და გულში მუშტებს იცემს. სანდახან თვითონაც ჩერდება, ელის მოჰირდაჰირეს. ნაცრის ფერი თვალები საშინლად უელვარებენ, სიბრაზე სახეს უმახინჯებს. მონადირეები იშვიათად ჭბედავენ გორილაზედ ნადირობას, ამიტომაც მისი ცხოვრება ჯერ კარგად არ არის შესწავლილი. აი, როგორ აგვიწერს ერთი მოგზაური დიუ-შარლიე გორილას დაჭერას: „ზანგებმა ჩემის თხოვნით ახალგაზრდა გორილა დაიჭირეს. ეს იყო ჯერ ისევ ჰატარა ორის წლის მაიმუნი, მაგრამ არშინ ნახევარი სიმაღლე ჰქონდა. საშინელი ბოროტი და ჯიუტი რამ იყო. მიამბეს მონადირეებმა, როგორ დაიჭირეს გორილა.

ჩუმად თურმე მიდიოდნენ ტყეში. ერთის ბუჩქნარის ახლო რაღაცა ბუტბუტი გაიგონეს. მაშინვე იცნეს გორილას ხმა.

ტუეში სიჩუმე იყო. შუადღე მოახლოებული იყო. მონადირეები წავიდნენ იქით, საიდგანაც ხმა ისმოდა. აიღეს თოფი და ფორთხვით მიცოცდნენ იმ ბნელ ალაგას, სადაც ნადირი ეგულებოდათ. იცოდნენ, დედაც ასლო ეყოლებოდა. მიუახლოვდნენ და დაინახეს შემდეგი სურათი: შვილი ბალახზედ იჯდა რამდენისამე ნაბიჯის მოშორებით, რაღაც ხილს შეექცეოდა. დედაც იქვე იყო. მონადირეებმა მაშინვე თოფი დაუმიზნეს და საბედნიეროდ დროზედაც, რადგან დედამ კიდევაც შეამჩნია ისინი. პირველისავე სროლით გორილა იქვე მოკვდა. შვილი დაფრთხა თოფის ხმაზედ, მიჰვარდა დედას, ჩამოეკიდა, ჩაეკრა გულში და პირისახე დედის ბალანში დამალა. მონადირეები დასაჭერად მისცვივდნენ პატარას. პატარა შეშინდა, გაჰშორდა დედას, გაიქცა პატარა ხისკენ, მარდად აცოცდა ხეზე და დაუწყო მონადირეებს ღრენა. მაგრამ არც ამათ შეჰშინებიათ, ხე ძირიანად მოსჭრეს, უნდოდათ ცოცხლად დაეჭირათ ნადირი.

წაიქცა თუ არა ხე, მისცვივდნენ, გადააფარეს თავზედ ტანისამოსი და დაიჭირეს. მაგრამ წაუვანა ძნელი გამოდგა. გორილა მონადირეებს მიჰვარდა, კბენა დაუწყო. მაშინ მონადირეებმა კისერზედ ნასვრად გაპობილი ხის მორი ჩამოაცვეს და ასე დაიმორჩილეს. შინ რომ მოიყვანეს, მორს კისერი დაეშავებინა. ვუთხარი ამიტომ კაცებს, გორილასთვის ბამბუკის ბალია გაეკეთებინათ. ორი საათის შემდეგ ბალია უკვე მზად იყო.

დავაბინავე პატარა ურჩი ბალიაში და მივედი, მინდოდა მივალერსებოდი. გორილა ამ დროს მოშორებით იდგა კუთხეში. დამინახა თუ არა, გაბრაზებული მომეარდა. მე მაშინვე მოვშორდი ბალიასა, მაგრამ გვიანღა იყო. მწვდა მაიმუნი ბარკალში და სულ ზედ შემომაგლიჯა ტანისამოსი. ამის შემდეგ ფრთხილად ვიყავი, მაგრამ იმედი მქონდა მაინც, დავიმორჩილებდი. პირველად ვიზრუნე საჭმელი მეშოვა მისთვის:

მოვატანინე ტეიდგან მისი საყვარელი ხილი, წყალი და დავუდგი გალიაში. საჭმელთან გაუბედავად მივიდა და მაშინ-ღა დაუწყო ჭამა, როცა გალიას მოვშორდი. მეორე დღეს ჯოე (ასე დავარქვი სასელად) უფრო გაველურებულიო, ვიდრე პირველ დღეს. ერჩოდა ყველას, ვინც გალიასთან მიდიოდა და დიდი სურვილი ჰქონდა ჩვენის გაგლეჯისა. მესამე დღეს კიდევ უფრო გამხეცდა, ულრენდა ყველას, კუთხეში იმალებოდა. მეოთხე დღეს ორი ბამბუკის ჯოხი გაამტვრია და გაიქცა. ახალი გაქცეული იო, მე რომ მივედი. დავუძახე მოსამსახურეებს მოეძებნათ, დაეჭირათ. ოთახში რომ შევედი, ტახტ ქვეშიდგან გაჯავრებული ღრინვა შემოესმა. ეს იო ჯოე. შეძვრალიო ტახტ-ქვეშ და იქიდგან ადევნებდა თვალს ყველა ჩემს მოძრაობასა. მე მაშინვე ფანჯრები დავკეტე, კარებთან კაცები დავაყენე. ჯოემ რომ ეს დაინახა, სახე საშინლად დაეღრიჯა, თვალები აენთო, ტანში გაკრჭოლა სიბრაზისაგან, გააფთრებული გამოძვრა ტახტ ქვეშიდგან. ეზოს კარები დავუკეტეთ. ვცდილობდით, როგორმე დაგვეჭირა ისე, რომ მისი კბილების წერომა არ დაგვემსახურებინა. ეტეობოდა, მისი დაჭერა ვერაფერი სასიამოვნო იო. ისეთი ბოროტი ტ ღონიერი რამ აღმოჩნდა, რომ მასთან მისვლა ვეღარ გავბედე. გაჯავრებული იდგა შუა ოთახში ტ აქეთ-იქით გაფაციცებით იცქირებოდა. გაკვირვებული ათვალიერებდა ოთახის მორთულობასა. საშინლად მეშინოდა, მისი ეურადღება საათის მუშაობას არ მიექცია ტ არ მიჰვარდნოდა დასამტვრევადა. ბოლოს, როგორც იო, ჩამოვაცვით კისერ'ზედ ბადე და შევაგდეთ გალიაში. ამისთანა ჯიუტი მაიმუნი არას დროს არა მოოლია. ყველას ერჩოდა, უბღეერდა, გალიის ჯოხებს ერთ-თავად ჰღრღნიდა. ვერც სიმშილით, ვერც ცემით ვერ დავიმორჩილე. ათის დღის შემდეგ მომიკვდა კიდეც".

ირაკლი სურგულაძე.

(შემდეგი იქნება)



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჰერკულესის ამბავი.



ნაპოლის ახლოს, იტალიაში, საშიშარი ბუმბერაზები სცხოვრობდნენ და არა თუ ადამიანებს, ღმერთებსაც-კი მოსვენებას არ აძლევდნენ. ქალღმერთმა ათინამ ჰერკულესს სთხოვა დახმარება და ჰერკულესმაც დიდი სამსახური გაუწია ღმერთებს: ბუმბერაზები სულ გაიჟლიტნენ.

ამ ომის შემდეგ ჰერკულესი დაბრუნდა საბერძნეთში და კალიდონიის მეფესთან მივიდა, რომ მეფის ქალი დეიანეისა შეერთო ცოლად. მეფე თანახმა იყო, მაგრამ ჯერ ჰერკულესი უნდა შეჰბრძოლებოდა მდინარის ღმერთს აქელოოს, რადგან ამასაც მოსწონდა მეფის ქალი. აქელოოსი ხან გველვეშაპად გადაიქცა, ხან საშინელ ხარის სახე მიიღო, მაგრამ ჰერკულესმა მაინც გაიმარჯვა და დეიანეისა შეირთო.

წამოიყვანა თავისი ცოლი ჰერკულესმა და ქალაქ ტრახანისაკენ გაემართა. გზაზედ ერთი ადიდებული მდინარე დაჰხვდა და არ იცოდა, როგორ გაეყვანა დეიანეისა: არც ხიდი იყო და არც ბორანი. იქვე სცხოვრობდა კენტავრი (ცხენ-კაცა) ნესსოსი. ნესსოსმა უთხრა ჰერკულესს—შენ თვითონ გადი წყალში და დეიანეისას მე გამოგიყვანო. ჰერკულესი დასთანხმდა და

შეტო

ეროვნული ბიბლიოთეკა

როტმა სალხმა დააჯერა დეიანეისა, რომ ჰერკულესს მისი გა-
გდება და იოლას შერთვა ჰქონდა გულში. ამიტომ დეიანეისა
მეტად შეწუხებული იყო.

ჰერკულესი, სანამ სახლში დაბრუნდებოდა, ეტას მთის ძი-
რში წავიდა, რომ მაძა ღმერთ ძევსისათვის სამადლობელი
მსხვერპლი შეეწირა. მსხვერპლის შემწირველი ახალსა ბ სუფ-
თა ტანისამოსში უნდა ეოფილიყო გამოწყობილი და ამიტომ
ჰერკულესმა კაცი გაგზავნა სახლში ტანისამოსის მოსატანად.
უბედურ დეიანეისას გაახსენდა კენტავრ ნესსოსის დარიგება და
ჰერანგს ის შენახული სისხლი წასცხო. ჰერკულესმა რომ ჰე-
რანგი ჩაიცვა, ტანმა საშინელი წვა დაუწყო; მოინდომა გა-
ხდა, მაგრამ ჰერანგი სულ ერთიან ზედ მიჰკვროდა. კენტავრის
სიჰსხლის შხამი უკვე შესული იყო ჰერკულესის სისხლში. გმი-
რი მიჰხვდა, რომ მისი გადარჩენა არ შეიძლებოდა; დიდრონი
შეშები მოიტანა, ერთი მეორეზედ დააწყო და დიდი კოცონი
გამართა; მერე ავიდა ზედ, გაწვა და ერთს თავის მეგობრის
შვილს ფილოკტეტესს უთხრა, ცეცხლი წაეკიდებინა კოცონი-
სათვის. ფილოკტეტესს გული სტკივოდა, მაგრამ მაინც აუს-
რულა თხოვნა, რისთვისაც ჰერკულესმა თავისი მშვილდისარი
დაუტოვა. კოცონს რომ ცეცხლი მოედვა, საშინელი ქარიშხა-
ლი ამოვარდა, შავი ღრუბელი გადაეფარა და ჰერკულესის სუ-
ლი ღმერთების სადგომ ოლიმპზედ აიყვანა. მაძა ღმერთმა ძევ-
სმა ჰერკულესის სული ღმერთად აქცია და იქაც ისე უყვარ-
დათ ჩვენი გმირი, როგორც დედამიწაზედ, სადაც იმდენი კე-
თილი და სახელოვანი საქმე შეასრულა.

ვ. ლორთქიფანიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

აიღეთ ჰატარა ნაჭერი ქაღალდი იმ ფორმისა, როგორიც აქ არის მოყვანილი და გადუკეცეთ თავი ისე, როგორც არის



ნაჩვენები № 1. მერე მეორე თავიც გადმოუკეცეთ (№ 2). და ს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რასმე შეგქმნი, რომ შენვე გაფურთხებდნენო". გადასწერა ჯვარ-ჯვარი და ბალახი თამბაქოდ აქცია. ამის შემდეგ ხალხი სწევს თამბაქოს და ეშმაკს აფურთხებს.

ალ. მჭ.

ღვთის მშობელი მიდიოდა ჯვარზედ გაკრულ იესო ქრისტეს სანახავად. გზაში ქრისტეს შუბლიდგან ჩამონადენი სისხლით შეღებილი ბალახი დაინახა და იკითხა: „ეს რიანია?" მას შემდეგ ბალახს შერჩა წითელი წინწკლები და დაერქვა „რიანი" ანუ „რეჭანი".

ალ. მჭ.

ახირებული კითხვა:

1. თხა რომ შვიდის წლისა გახდება, რა მოუვა?

2. ორმა მამამ და ორმა შვილმა სამი კურდღელი მოჭკლეს; თითო იმათგანს-კი თითო კურდღელი მოჭქონდა შინ.

ვანო გურჯაანელი.

ა ნ დ ა ზ ე ბ ი:

1. მგელი წანაღებსა ჩიოდა და ჰატრონი დანაკარგსაო.
2. გარჯილობასა მოჭქონდა საწუთრო დაულეველი.
3. დილით ამდგომს უსაროდეს—გვიან მოსადილესაო.
4. მგლის წეალობით ტურა რჩებოდაო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ᲒᲐᲛᲝᲪᲐᲜᲔᲑᲘ:

წარმოდგენილი ი. გომელაურისა.

1. თეთრად დავქსელე, წითლად მოვქსოვე, შავად ამოვჭერ.
2. უწულოდ, უმიწოდ გაზრდილი—ვარ, რა ზორბა ხე არი.
3. ერთი რამ ველის ნადირი ყველა ნადირზედ ცუდია,
   დადის და დაიარება—ზურგს კიდობანი ჰკიდია;
   თავისა შედარებითა რქა აქვს ირემზედ დიდია.



„ნაკადულის“ რედაქციას.

ჩვენ ძლიერ მოგვწონს ბიძია შიოს ლექსები, ყველას ადვილათ ვსწავლობთ, ბევრიც ვიცით. ძლიერ მოგვეწონა ჰატარა ლეოს ლექსი. ჩვენც გვეავს ჰაწა ძაძია გიჟი ლეო, ძალიან გავს შიოს ლეოს. დიდი მადლობელი ვართ ამისთანა ლექსებისათვის. ვთხოვთ ბ. შიოს ხშირად გვასიამოვნოს თავისი ჰატარა მკითხველები.

რუსა და თინა ნაკაშიძეები.

ქ. ოზურგეთი.

მე წავიკითხე გიას წერილი და მეც ვაგროვებ ფულს ჰატარა გურულებისთვის; ჯერ მოვაგროვე ორი მანეთი და ვგზავნი.

ნინო დ.

ბავშვების შემოწირულება ღარიბ ბავშვებისათვის:

გია აბაშიძისაგან 5 მ., ვახტანგ წულუკიძისა და იმის დისაგან—1 მ., ნინა დიასამიძისაგან—2 მ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაზეთი „ივერია“

1906 წ.

გამოდის ყოველკვირეულ გაზეთად ერთიდან ორ თაბახამდის.

ფასი გაზეთისა პირველ მარტიდან წლის დამლევამდის ტფილისსა და ტფილისს გარედ გაგზავნით—3 მან., 5 თვით —2 მან.

ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში ფრეილინის ქუჩაზე, № 5.

საფოსტო ადრესი: Тифлисъ, Редакція газ. „Иверіа“.

1906 წელს **«შრომა»** **1906 წელს**

სურათებიანი დამატებით

გამოვა იმავე პროგრამით, ყოველ დღე, გარდა ორშაბათისა და დიდი უქმეების შემდეგ.

დაახლოვებით თებერვლის გასულს ან მარტში გაზეთის ფორმატი **გადიდებული** იქნება. ამისათვის გერმანიიდან დაბარებულია განსაკუთრებული მსწრაფლ-მბეჭდავი მანქანა და ქალალდი. ქალალდი უკვე მოვიდა, ხოლო მანქანა გზაშია.

ფასი გაზეთისა:

კავკასიაში და რუსეთის ყველა ქალაქებში გაგზავნით ერთის წლით 6 მან. ერთის თვით 50 კაპ.	საზღვარ-გარედ გაგზავნით ერთის წლით 11 მან. ერთის თვით 1 მან.

გაზეთის ხელის მომწერთ გაეგზავნებათ სურათებიანი დამატება

დამატებაში, გარდა უცხოეთის და რუსეთის ცხოვრებიდან აღებულ სურათებისა, მოთავსებული იქნება სურათები ადგილობრივ ცხოვრებიდანაც. დამატებაში მონაწილეობას მიიღებენ, გარდა მუდმივ თანამშრომლისა მხატვარი ოსკარ შმერლინგისა და გოგიაშვილისა, მხატვრები გრინევსკი, ბერიძე და როტტერი.

„შრომის“ წლიურ ხელის მომწერთ ერთის მანეთის დამატებით გაეგზავნებათ იუმორისტული ჟურნალი **„ნაპერწკალი“**.

ადრესი: Тифлисъ, редакція **„Шрома“**.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეოველ-კვირეული საპოლიტიკო, სამეცნიერო და სა-
ლიტერატურო გაზეთი

„ნობათი“

სრულის პროგრამით.

ფასი გაზეთისა ერთის წლით 5 მან.; 25 მარტიდან წლის დამლევამდე გაზეთი ეღირება მხოლოდ 3 მანეთად. ცალკე ნომერი 10 კაპ.

სელის მოწერა მიიღება:

ტფილისში 1) „ნობათის“ რედაქციაში (ორბელიანის ქ., 6). 2) ბიურო „სატრუდნიკ“-ში (სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახლი. ეზოში). 3) წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში, ბ-ნ შ. ქუჩუკაშვილთან. 4) **ქუთაისში**—ბ. ისიდორე კვიცარიძესთან (ამხანაგობა „კოლხიდა“. 5) **ბათუმში**—ბ. გერასიმე კეკელიძის გაზეთის ბიუროში. 6) **ჭიათურაში**—ბ. გერასიმე დავითისძე ბერიძესთან. 7) **ყვირილაში**—ბ. პლატონ ლეჟავასთან. 8) **ფოთში**—ბ. ი. კოხრეიძესთან. 9) **სამტრედიაში**—ბ. კ. კოხრეიძესთან. 10) **ოზურგეთში** ბ. ტულუშის გაზეთის ბიუროში. 11) **სოხუმში**—გაზეთის ბიურო ბ. ძიძიგურისა. 12) **ახალციხეში**—ქ. ანნა ფედატოვისას.

განცხადების ფასი:

სტრიქონი პეტიტისა კალონაზე **შაური.**

Открыта подписка

на ежедневную газету

„На Поворотѣ“

Подписная плата съ доставкой и пересылкой: до конца года—6 руб., помѣсячно—1 руб. отдѣльные номѣра въ розничной продажѣ по 5 копеекъ.

Редакторъ-Издатель *А. Мдивани* Редакція—Вангская № 3.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ წლის 12 მარტიდან გამოდის ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

„ე ლ ვ ა“

„ელვა“ წლიურათ ღირს თფილისში და თფილის გარეთაც 6 მან., 5 მარტიდან წლის ბოლომდის 5 მან., თვიურათ 50 კაპ., ხოლო ცალკე ნომერი **მეგაზეთეებთან თფილისში და სხვა ადგილებშიაც 3 კაპ.**

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პეტიტით პირველ გვერდზე 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ.

რედაქცია ღიაა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 5-დან 7-დე.

ხელის მოწერა მიიღება:

თფილისში: რედაქციის კანტორაში—ველიკოკნიაჟესკ. ქუჩაზე, № 17.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Редакція „Елва“.

ПРОДОЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА НА 1906 ГОДЪ

на политическую и общественную гезету

Тифлисскій Листокъ.

Газета „Тифл. Листокъ“—незовисимый органъ печати. Девизъ газеты: осуществленіе общенародныхъ идеаловъ гражданской свободы и широкой самоуправленіе Кавказа.

—

Газета „Тифлисскій Листокъ“ выходитъ подъ новой редакціей и при ближайшемъ участіи М. А. Джабара, А. П. Раллеръ-Непринцева, Владимира Н—скаго, И. С. Спендіарова, Н, С. Державина, Г. С. Ханъ-Заде и М. А. Насидзе.

——

Подписная цѣна:

Съ 1-го марта до конца года:

Съ доставкой въ Тифлфсѣ . . . . . 4 р. 50 к.
Съ пересылкой для иногородныхъ . . . . . 6 р. — к.

Условія подписки на другіе сроки, тарифъ на объявленія и пр. см. въ заголовкѣ газеты.

ეროვნული
ბიბლიოთეკა